ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5457599

ნომერი: AR1828597

თარიღი : 28.05.2021

გაცემის თარიღი : 18.06.2021

გაცნობის თარიღი : 18.06.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 90;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2021 წლის 28 მაისის №AR1828597 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 28 მაისს №AR1828597 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, №01.72.14.038.424 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (“ბ” და “ც” ბლოკი) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2018 წლის 8 იანვრის №3765067 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 8 იანვრიდან 2022 წლის 8 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 25 დეკემბრის №4318573 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ საერთო, საცხოვრებელ და ავტოსადგომის (შიდა) ფართობებთან დაკავშირებით.
წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად 637.5 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა წარმოდგენილი ღია ავტოსადგომების ჯამური მაჩვენებელი შეადარა სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებით შეთანხმებულ გენ-გეგმაზე დატანილ ღია ავტოსადგომების ფართობების ჯამურ მაჩვენებელს და დაადგინდა, რომ წარმოდგენილი “ბ” და “ც” ბლოკებისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომის ფართობის ჯამურ მაჩვენებელში არასწორად არის ჩათვლილი სამსახურის 2017 წლის 19 ოქტომბრის №3625165 ბრძანებით შეთანხმებული “ა” ბლოკისთვის განკუთვნილი №1-№20 (250 კვ.მ - სულ 20 ღია ავტოსადგომი) ღია ავტოსადგომის ფართობებიც.
ამასთან, არასწორად მოხდა განცხადების რეგისტრაცია „ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში“ ნომენკლატურაში. საჭიროა განცხადება დაარეგისტრიროთ „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში“ ნომენკლატურით, რისთვისაც ამავე განაცხადის საფუძველზე მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ემუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. განცხადება დაარეგისტრიროს “ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში” ნომენკლატურით.
1.2. დააზუსტოს მოთხოვნა “ბ” და “ც” ბლოკებისთვის მიკუთვნებული ღია ავტოსადგომის ფართობთან დაკავშირებით (“ა” ბლოკისთვის განკუთვნილი №1-№20 ღია ავტოსადგომის (250 კვ.მ.) ფართობის ჩათვლის გარეშე).
1.3. წარმოადგინოს სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმის იდენტური გენ-გეგმა (გეგმარების ცვლილების გარეშე), გენ-გეგმაზე და ექსპლიკაციაზე ღია ვატოსადომების (“ბ” და “ც” ბლოკებისთვის მიკუთვნებული) იდენტური მაჩვენებლების დატანით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2021 წლის 28 მაისის №AR1828597 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge